

რვაენი

პეპსი

წელიწადი მანათი.

რედაქცია

საბავშვო მასალა უნდა იყოს გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. დაწერილი გარკვეულად და ერთ თვით 50 მ. განცხადების ფასი: გვერდზე წერილში აღნიშნული უნდა სტრიქონი პეტრისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. იყოს ავტორის ვინაობა და მისა- ქალაქ გარედასნ მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლო- მართი, დაუბეძვარ წერილებს რედა- ვიარო განცხადება: თორავჯერ არა- ქსია არ ინახავს. ინაწება მხოლოდ უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 სა- დიდი მოთხოვნები. თათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

დასავლეთ საქართველოს ექიმის თანამშრომელთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირი მშუბარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაცვალება თავისი კავშირის და სინდიკატის სასამართლოს წევრი

**ნადეჟდა სპირიდონის ასული მდივნისა.**

მიცვალბულს გამოსვენებენ თავისი საკუთარი სახლიდან, (მესხეთის ქუჩა) ხუთშაბათს, 15 მაისს, ნაშუადღევს 4 1/2 საათზე და წაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ. 1-1

18 მაისს ახალი სტილით, დღით კვირას, სოფელ კულაშში ჯვარცმის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვილი

**სოფიო ნიჟოლუ ლორთქიფანიძის ასულის მიქელ აძისა,**

რასაც ღრმა მშუბარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დები: ფეოდოსი ნიკოლოზის ასული გუგუნავასი და ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა, ძმა სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, რძალი მარია ივანეს ასული ლორთქიფანიძისა, სიძე მიხეილ ლევანის ძე ლორთქიფანიძე და ძმისა და დის შვილები.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ივანე კონსტანტინეს ძე მდივანი, დედა მარია მიხეილის ასული ჯინჯიხაძისა, ქალიშვილი მარტული ილიარიონის ასული კობახიძე და და ნეონილა სპირიდონის ასული ჯინჯიხაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 11 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ნადია სპირიდონის ასული მდივნისა.**

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 15 მაისს, ნაშუადღევს 4 1/2 საათზე, საკუთარ სახლიდან, მესხეთის ქ., საფიჩხიის სასაფლაოზე, პანაშვილი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 3-3

კვირას, 5 მაისს (ძველი სტილით) ცაგერის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვილი უღროვოდ დაკარგულის

**სამსონ გიორგის ძე მდივნის**

სულის მოსახსენებლად რასაც მშუბარებით ვაუწყებთ ნაცნობ-ნათესავთ გაუბედურებული მეუღლე მისი ტიპი მდივნისა კუხალაშვილის ასული თავის მკირე წლოვან შვილითურთ. 1-1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნატალია პავლეს ასული და გიორგი სარდიონის ძე ხმალაძეები, ძმები: ალექსანდრე, სპირიდონი, დავითი ირაკლი, ილია, პავლე და და ანა ჩუბუნაშვილისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ 13 მაისს დღით ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რეალური სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფე

გულდათუთქულნი: და ქსენია სპირიდონის ასული ჯაფარიძისა, სიძე პლატონ ლუარსაბის ძე და დისწული ლადო პლატონის ძე ჯაფარიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 10 ამ მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და ძვირფასი

**ნადია სპირიდონის ასული მდივნისა**

რომლის გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან (მესხეთის ქუჩა) მოხდება ამა 15 მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 ნახ. ს. საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვილი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 2-2

კონსტანტინე (წია) გიორგის ძე ხმალაძე.

პანაშვილები ყოველ საღამოობით. განსვენებულის ბინაზე არქიელის გორა. იაკობ ჩიმაკაძის სახლი. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1-1

ღრმა დამწუხრებულნი შვილები: ოლა, ლიუპილა, თამარა და ელენტინა, და ფეოქია და სიძე ნიკო მგელაძე აუწყებენ ნათესავთ, რომ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა

**მარიაშ ლევანის ასული დემბაძისა.** 1-1

ღრმად დამწუხრებულნი სიძეები: მაქსიმე ლუარსაბის ძე გრიგორაშვილი და პოლიკარპე ვასილის ძე ნიშნიანიძე, და დისწული ბუზუტი მაქსიმეს ძე გრიგორაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 10 ამ მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

**ნადია სპირიდონის ასული მდივნისა**

რომლის გამოსვენება მოხდება 15 ამ მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე, მესხეთის ქუჩიდან საფიჩხიის სასაფლაოზე (მესხეთის ქუჩა, საკუთარი სახლი). პანაშვილი ყოველდღე საღამოს 6 ს. 2-2

თავზარდაცემულნი და გულმოკლულნი: მეუღლე თებროლე, ძმა-პარმენ, რძალი-ფატია, ძმისშვილნი: შალიკო, პავლე, ყარყა და ქეთო რუსაძეები აუწყებენ პატივცემულ მოქალაქეთ: ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 11 მაისს (ახალი სტილით) გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის-მეუღლე, მეორის-ძმა, მესამის მასლი და დანარჩენები ბიძა

**ნოე თომას ძე რუსაძე.**

დაკრძალვა მოხდება დღეს, ხუთშაბათს 15 მაისს ნაშუადღევს 3 საათზე, ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება საკუთარ ბინიდან მესხეთის ქუჩაზე. 1-1

გამოუთქმელ მშუბარებასა შინა მყოფნი მასლები: იოსებ, მიხეილი და სიმონ კონსტანტინეს ძენი მდივნები და რძლები: ოლა ვახტანგის ასული და ნინა სამსონის ასული მდივნებისა და მასლიშვილები: პეტია, დავითი პლატონი და პატარა თინკა მდივნები უღრმესი მშუბარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 10 ამ მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და ძვირფასესი

**ნადია სპირიდონის ასული მდივნისა**

რომლის გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან (მესხეთის ქუჩა) მოხდება ამა 15 მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 მახვარ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვილი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 1-1

ქვრივი გულაწყვეტილი: პასიკო ივანეს ასული რუსაძისა შვილებით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 11 მაისს გარდაიცვალა დაუვიწყარი მათთვის პირველის-მასლის-შვილის და დანარჩენთათვის ბიძა-შვილი

**ნოე თომას ძე რუსაძე.**

რომლის გამოსვენება მოხდება, თავის საკუთარ სახლიდან (მესხეთის ქუჩა) დღეს ხუთშაბათს 15 მაისს ნაშუადღევს 3 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში დასაკრძალავათ. 1-1



მისწულნი: პეტრე, ნადია და თებროლე დიმიტრის ძენი ზვიადებები, ბიძა იოსებ ანდრეას ძე ზვიადებე, ბიძაშვილები: ვლადიმერ იოსების ძე და მიქაილე სოფრომის ძე ზვიადებები, კოლისძემბი მიხაილი, ალექსანდრე და პატრუშა ძავნიძეები, ნათლულის მამა გერასიმე მიხაილის ძე ბოკელავაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. კახტეგში კვირას 11 მაისს, ხანმოკლე ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსყვარლესი

**ბესარიონ გაბრიელის ძე ზვიადაძე.**

პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს 17 მაისს 11 საათზე ღლით მთავარანგელოზის ეკლესიაში. ნაცნობთ და მეგობართ ვსთხოვთ დაესწრონ პანაშვილის გადახდას.

2-1

**ახალი სტუმრები.**

ინგლისელები მიდიან და იტალიელები მოდიან. მაგონდება რუსთველის სიტყვები: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღაროსა“.

შესაძლებელია ბოლოს იტალიელებიც წაბრძანდნენ და ადგილი სხვას დაეთმონ.

ერთი კი უეჭველია: ევროპიელები დღეიდან ჩვენი განუყრელი სტუმრები იქნებიან: სკირდებთ ამიერ-კავკასია, რა გორც ევროპა-აზიის შემავრთებელი ხილი.

ცივილიზაცია მსოფლიო გზების გარშემო იზობება. მაგალითად საბერძნეთისა და რომის ცივილიზაცია იმის შედეგი იყო, რომ ძველი ევროპის სავაჭრო ცენტრს ხმელთა შუა ზღვის ნაპირები წარმოადგენდნენ.

მეოთხეუკუნეში საუკუნიდან სავაჭრო ცენტრი ატლანტიკის ოკეანის ნაპირებზე გადავიდა და ახალი ცივილიზაცია ამ სანაპიროების ქვეყნებში დაიბადა.

დღეს კი, შეიძლება ითქვას, ეკონომიური წონასწორობა კვლავ ირღვევა: ახალი მსოფლიო გზები ჩნდებიან.

ძველ გზებს, ე. ი. ატლანტიკის ოკეანეს, ხმელთა-შუა ზღვასა და სხ. ამით, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა არ დაეკარგებათ.

მაგრამ ეს ახალი გზები: ბალდადის, ამიერკავკასია — თურქესტანისა და ციმბირის გზები, უდიდეს როლს ასრულებენ.

ბალდადის რკინის გზა შეაკავშირებს შუა ევროპას ინდოეთთან; ციმბირის რკინის გზა ჩრდილო-ევროპას ჩინეთთან და ამიერკავკასია — თურქესტანის რკინის გზა — ორი ხსენებული გზის რაიონებს ერთმანეთთან და ამიერკავკასია — თურქესტანთან.

**გზოვლად წუთით.**

შენ ვინდა პასუხი?  
 ბატონი ხაო! მომისმინე:  
 მოგონე ივლისის ღამე.  
 ჩვენ ვიყავით ქალაქ გარე.  
 ვიყავით ორნი, სიყვარულით მთებ შორის მოარულნი. დავგვალა რბენამ.

შენ მოგესურვა მოსვენება და სწრაფ ჩამოირბინე მთიდან და ვით ფეია გიყვივით ესტუმრე ნელ მდინარის დაბალ ნაპირებს. ნაპირთა შორის რგვლად მომწყვდეთული მდინარე ტბას ჰვავდა.

— „უიშე ნავი!“ — წამოიძახე შენ სიხარულით. მართლაც, ხის სოლზე მიბმული იყო ბაწრით ტბაში ჩაშვებული ნავი.

— შენ დაქანცული ხარ, მარი; შენ სხეულს მოსვენება უნდა, ჩამოგვდეთ... მთელი ღამით შეუწყვეტელი სირბილი. ხტობა, კისკისი ჩემთვის მტანჯველი იყო, შენ გახარებდა ჩვენი ერთად ყოფნა, ისიც თეთრ ღამით, როდესაც სიყვარულის ყვავილი გრძობით იშლება.

შენი სული კმაყოფილი იყო ჩვენი სიხლოვით. შენთვის არ იყო სხვა ფიქრი, სხვა სიყვარული და აზრი.

მე ვერ ვითმენდი ამას. ჩემი პასუხი, რომელიც მხოლოდ მოკლე, ცივ „პა“ და „ღიას“-ში გამოიხატებოდა, ჩემი სიცილი, სურვილი შენთან რბენის, ხტობის, და სიმღერის იყო ყალბი, იყო ხელოვნური.

ღამის იღუმალებში აიშალა ვნების სამეფო, რომელმაც მოისურვა მაღალ სიხს-

მაშასადამე ამიერკავკასია — თურქესტანის რკინისგზა ევროპა-აზიის მსოფლიო გზების ცენტრად შეიქნება!

და ბათუმი, თფილისი და ბაქო — მსოფლიოს სავაჭრო სამრეწველო ცენტრებად გადაქცევიან და ახალ ლონდონ-ნიუორკებად გადაქცევიან!

და რა საკვირველია, გამარჯვებული კოალიცია თუ ცდილობს, ჩვენში ფეხი მოიმაგროს.

დიად! საქართველო-აძერბეიჯანი — სომხეთი — მსოფლიო პოლიტიკის სფეროში მოექცა და მაშასადამე ჩვენი ბედი მარტო ერთერთის რომელიმე დიდი სახელმწიფოს ხელში არ ჩავარდება.

ეს უნდა ჰქონდესთ შეგნებული ჩვენი საგარეო პოლიტიკის მწარმოებელი! ეს შეგვიძლია მოვიხმაროთ ჩვენდა სისარგებლოდ!

ამისთვის კი აი რა არის აუცილებელი. უნდა დავუმტკიცოთ ევროპას, რომ ჩვენს ქვეყანაში, ამ საერთაშორისო სავაჭრო ხილზე, შეგვიძლია წესი და რიგი დავიცვათ და საქონლის გაგზავნა-გამოგზავნა და წარმოება არ დავაბრკოლოთ.

თუ ევროპას ამის საწინდარს მოვსცემთ, ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება; თუ ვერა, — ევროპა როგორც მისი ეკონომიური პოლიტიკის ხელის შემშლელთ, თავიდან მოგვიცილებს.

იტალიელების მოსვლა კი სხვათაშორის ეკონომიური პოლიტიკისთვისაც უნდა გამოვიყენოთ.

იტალიას შეუძლია ჩვენსა და ევროპა-ამერიკას შორის შუამავლის როლი ასრულოს. ეს იტალიისთვისაც სისარგებლო იქნება და ჩვენთვისაც.

ხვერპლოზე უმანკოების მსხვერპლად აღიანა.

პირველად იყო მაშინ ვნების ხარბი სახე ჩემი სტუმარი.

პირველად დაიმსხვრა ჩემს ახალგაზღვრულ სხეულში ღამაში გრძობის სათუთი სახე და მხოლოდ იმ ღამით მოკვდა პირველად სიყვარულის ძლიერი ძალა.

სიყვარულის სამეფო დაცარიელდა და შიგ აღიმართა ძლიერი სახე მხოლოდ სურვილისა.

შენი სურვილი სხვაფერად მორთულობაში იყო ამ უცნაურ გარდაქმნის პირველი მიზეზი.

მშვიდი სიყვარულის სამეფოში მეამბოხეთ შეიჭრა შენი სული და გაარღვია ხანგრძლივ დროთა სვლაში შექმნილი სიღამაზე.

შენ იდექ მაღლობზე, მე ცოტა დაბლა. შენ იდექ ვით თეთრი მარმარილოს ქანდაკება, რომლის ქვეშ მოქანდაკე მკვეთრად გამოჭრიდა სიტყვას:

„სიხარული“

ნელი ქარი მოკრძალებით შეეხო შენს სამოსს.

მთვარის ღიმლიმა უზენაესი სითეთრით დაგასაჩუქრა.

მე გიმზერდი და ამ ღრმა მზერაში დაიწყო ვნების სამშვიდობოს დაშლა.

ქარის აღერსი და მთვარის მდიდარი თეთრი ღიმლი იყვნენ შენი მძარცველნი.

ქარი აშიშვლებდა შენს ფეხებს. მთვარე აშუქებდა შენს ფეხთა შორის სამკუთხედად მოჭრილ სიწვეს...

იტალიისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება: რა კი პირველად ის ჩაუდგება სათავეში ამ საქმეს, დიდხანს შერჩება ხელში უპირატესობა.

მაშასადამე იტალიასთან ამგვარი პოლიტიკური ურთიერთობა უნდა დავამყაროთ: იტალიამ უნდა იცნოს ჩვენი დამოუკიდებლობა და ადგილთქვას დახმარება ამ საქმეში გამარჯვებულ კოალიციასთან.

მაგვ დროს საქართველო მიანიჭებს იტალიას სხვადასხვა ეკონომიურ უპირატესობას.

დასასრულ კვლავ უნდა ვსთქვა: რკინის გზით საქონლის გადაზიდვისა და გემების დაცლა-დატვირთვის საქმე თუ სასურველად არ მოეწყო, ამაოა ყველა პოლიტიკა: არა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შერჩენა, არამედ უბრალო ეკონომიური კავშირიც კი შეუძლებელი იქნება.

მაშასადამე რკინისგზის მოსამსახურეთა და საქონლის გადაზიდველ და გემების დამკლელ-დამტვირთველ მუშათა კავშირებს თუ განუსაზღვრელი უფლებები ხელში შერჩათ, საქართველოს დამოუკიდებლობას ბოლო მოელდება.

ამ მუშათა კავშირების გადამეტებული უფლებანი ან საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ეკონომიური წარმატება! რომელი ვარჩიოთ?!

განა შეიძლება ორი პასუხი ამ კითხვანზე?

**ვახილ წერილები.**

**პ რ ე ს ა.**

ინგლისელები საქართველოდან უკვე წავიდნენ. მათ ადგოს იტალიელები დაიკავებენ, რომელთანაც მალე გამოირკვევა ჩვენი დამოუკიდებლობა. მაგრამ სანამ იტალიელები ჩვენში გამაგრდებოდნენ, მოსალოდნელია, რომ ჩვენმა მტრებმა დრო იშოვონ და შემოგვესიონ.

ამ საკითხს ეხება გაზ. „საქართველო“ და სამართლიანად სწერს:

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისმაც ვერ შესძლო ყარს ბათომ არტაანში, რომელიც პირდაპირ მის გამაგრებობას ემორჩილებოდა, ამ ამრევი ელემენტების აღაგმვა და წესიერების დამკვიდრება. ბოლოს-დაბოლოს ისევ ჩვენ უნდა აგვესრულებინა ეს საქმე და ის იყო ჩვენმა ჯარმა არტაანი დაიჭირა და მთელი მხარე მორჩილებაში მოიყვანა. თვით ხალხი სიამოვნებით შეეგება ჩვენს ჯარს; თურქმენებმა განსაკუთრებული სიხარული გამოსთქვეს და ერთ-

ძნელი იყო ამ სურათის ხილვა.

— „წი ძირს დავეშვეთ“ — შეჰკვირვებ შენ და ის იყო ისარებით მალლიდან ჩამოიქროლე.

მალე მეც შენთან ვიყავ.

— შე მინდა ნავზე გავისეირნო. აქ ხომ წყალი ღრმა არ იქნება?

— პირიქით, წყალი ძლიერ მცირეა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ნავზე დასაჯდომი არაფერია.

— ფეხებზე გავჩერდეთ. აბა, მოგხსნათ ბაწარი, ჩქარა. შე მინდოდა ეს შემთხვევა. ნავზე მაინც სიახლოვეს ვიგრძობობდი, სწრაფ ამოვიღე ჯაყვა, გავქერი ბაწარი, შენ შევლივით ჩახტენ ნავში, შე ავიღე გძელი ჯოხი, შენთან მოვეთავსე და ნავი წყალში შევაცურე.

ნაპირზე შორის შევაჩერე მე იგი, სწორედ მდინარის შუაგულზე.

— რად შევიჩერდი? — შემიკითხე შენ.

— დავიღალე.

— ასე მალე? აბა მე მომეცი ეს ჯოხი, მე წავიყვან.

— არა, მარი, შენ ვერ შესძლებ.

— შევიძლებ, შევიძლებ მომეცი!

ამის თქმაზე შენ მომიახლოვდი, გინდოდა ჯოხის მიღება, მაგრამ მე ჩემსკენ გიზიდავდი, მსურდა შენი სხეულის სიახლოვე მეგრძნო, მინდოდა შენი მკერდის შეხება, და სწორედ, ჩაკიდე ხელი, თვალბეჭეში შმაგი ჰაბუკივით მიგაშტერდი და ნელა სულ ნელა, ძალ-ღონის წყნარი ამოძრავებით ვიწყე შენი სხეულის მოახლოება.

გულემა გამოგვიცხადეს. ლაპარაკი არ უნდა, რომ ჩვენი სახელი პატივით და მოწიწებით შექნათ იტალიის მსოფლიო თაღალში, რეალური ძალის დემონსტრაციასთან ერთად შორალური შთაბეჭდილებაც მოვახდინეთ და ხელს არაფერი გვიშლიდა რომ ოლქში საბოლოოდ მოეწყობილიყო: გაგვემართა ჩვენი ადმინისტრაცია და ეს ახლად დაქერილი მხარე ორგანიზულად საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შემოგვეყვანა. ბოლო დღეების ინციდენტმა ინგლისის მისიასთან ამ მხრივ საქმეგაგვირთულა და მოქმედების გაფართოება შეგვიფერხა... ჩვენ სხვა დროს აღვნიშნეთ არტაანის დაცლის შეუძლებლობა და მისი მიუღებლობა ჩვენი სახელმწიფოს პრესტიჟისა და სოციოცხლო ინტერესისთვის. ესლა მით უფრო შეუწყნარებელია ჩვენი ჯარების იქიდან წამოყვანა და სამხრეთი ფრონტის გაშიშვლება, რომ სამაგიერო რეალურ ძალას სახე დახედოდა იქ იტალია ვერ შეიყვანს, ხოლო უამისოდ კი ოლქში თავის ბატონად დაჩრჩილი მემამოხენი ახალ ბრძოლის ასპარეზს შეგვიქნინან. ასეთივე მდგომარეობაშია ჩვენი ჩრდილოეთის ფრონტიც. როგორც ვიცით, ინგლისის შთავრების ბრძანების წინააღმდეგ დენიკინმა არამც თუ არ დასცალა სოქის ოლქი, ა-ამედ სოხუმის ოლქის დასაქვრადც განემზადა და ჩვენ იძულებული გავხდით, საზღვარი იარაღით აღგვედგინა და დავმცვა. იგივე დენიკინი თავს ეხლა უფრო თავისუფლად იგრძობს და თუ ძალა შესწევს რამე, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას გააძლიერებს.

გარემორტყმულ მტერთაგან ჩვენი დამცველია ჩვენი საკუთარი ძალა. იყო თუ არა ამიერ-კავკასიაში რომელიმე დიდი სახელმწიფო მანდატურის როლში, ან იქნება თუ არა, სულ ერთია; როგორც აქამომდე, ესლაც და ამიერიდანაც ჩვენი იმედი და სიმტიკე ჩვენივე საკუთარი რეალური ძალა ყოფილა და იქნება. ამის გაკვეთილები ზეგრი მივიღეთ, რომ საბუთი გვეკონდეს ვიფიქროთ რომ ბოლოს და ბოლოს თვით ჩვენი გულუბრყვილო მთავრობაც ამაში დარწმუნდებოდა და რომ იგი თვის უდიდეს ყურადღებას ამ ძალის მოგვარებას მოანდომებს.

არტაანისა და სოქის ოლქის პოზიციები სერიოზულად უნდა გავამაგროდ. აქ რომ გვეყვს იმ ძალებს ვერ შევა-

შენ იგრძენ ჩემი სურვილი.

შენ იცან ჩემი აზვირთებულ თვალთა ცეცხლის გიჟი სურვილი.

უძრავად იდექ.

— მარი მარი, გესმის ჩემი გულის ცემა? შენ სდუმდი.

— მარი! განვიმეორე მე კიდევ ჩურჩულით და ხელები მოგხვიე, შენ თვალები დახუტე და თავი ჩემსკენ გადმოხარე.

მე ვნებით შევეხე შენს ბაგეებს და თვალებს.

მე ვიამბორე შენ ბაგეთ სიწმინდეს და პირველად დავარღვიე მათი უმანკობა.


მაშ დაირღვეს ყოველივე, დაირღვეს მისი სხეულის სიწმინდეც, ის ხომ მაინც ჩემი იქნება, გამიელვა გადაწყვეტილებამ აზრში და უფრო გაშმაგებით, უფრო ძლიერი ვნებით და სურვილით შევეხე შენს სხეულს, მკერდს, ყოველივეს, რომ სრულებით გამეძარცვა შენი სხეული სიმოსისაგან და დამეცხრო ვნების უმწვერვალესი სიხელე...

— მარი, ყური უგდე ვნების ძახილს, გესმის რას ამბობს იგი?.. მარი, დავამვიდოთ ძალთა მკაცრი მღელვარება, აი აქ, სადაც არავინაა, სადაც მხოლოდ ნაპრალოთა სიბრმავე გვიშვებს და მთების სიმუნჯე გვისშენს.

შევეხე შენს სამოსს, რომ განმეძრო იგი და უფრო ხარბად კისერზე შემოვირტყი შენი ცხელი მკლავები.

ამ დროს: შენ მკარი ხელი და სთქვი მხოლოდ!





ტებო; პირიქით, ისინი უნდა შე-  
ცდნენ და გადადგომოდნენ. ჩრდილოე-  
რიდან და სამხრეთიდან შემოსასვლე-  
ლი კარები ჩვენს ხელში უნდა იყოს  
ძლიერად გადაურდული გვექნოს.

### იტალიელი

იტალიის მისიის შემადგენლობა.  
იტალიის მისიის მეთაურობს პოლოკო-  
ვაბა. მისიის შტაბს უფროსობს  
გიკელი. მისია შესდგება 18 კა-  
პიტან და ყოველი მათგანი სპეციალი-  
ზებული საკითხებში.

მისიისთან ერთად თბილისში ჩაშვნიდა  
7 წლიანი იტალიის კონსულად მყო-  
ბის დროს ბენი ვალერი, რომელიც  
საზღვაო უკანასკნელ დროს კონსულ-  
უბნის უფროსად ითვლებოდა აქ. იგი  
სწრაფად დატოვებულა ეროვნულ ყრი-  
ლობას 19 ნოემბერს 1917 წელს და  
საღამოს მოკავშირეთა წარმომადგენ-  
ლების სახელით.

### იტალიის მისიის ჩამოსვლის მიზანი.

იტალიის მისია მოვიდა ამიერ-კავკა-  
ში საზავო კონფერენციის იტალიის  
დედაციის დავალებით და როგორც  
მისი წევრთა სიტყვებიდან სჩანს, მათ  
სწრაფად შეადგენს მხოლოდ ამიერ-კავკა-  
სის პოლიტიკური, ეკონომიური და  
მხარეობის მდგომარეობის გამორკვევა  
შესწავლა. არავითარი ჩარევა ამიერ-  
კავკასიის სახელმწიფოთა შინაურ საქმე-  
ში მათს განზრახვაში არ შედის.

მისია აღჭურვილია მრავალი საშუალებ-  
ით და მკოდნე პირებით ადგილობა-  
რი პირობების შესწავლისათვის და სუ-  
ბილი აქვთ თავიანთი მუშაობა გასწიონ,  
საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯან-  
ის მთავრობებთან სრულის თანხმო-  
ბით.

ჩვენი თანამშრომლის მიერ მიღებული  
შედეგებით, იტალიის განზრახვა აქვს  
ერთი ეკონომიური მუშაობა გააჩაღოს  
და ამ მუშაობისათვის და ამ შამად მო-  
ვლი მისიის ერთ-ერთი მიზანია, გამოა-  
კვიროს ეს პირობები, დაამყაროს კავში-  
რი აქაურ მთავრობასთან მომავალი საე-  
კონომიო ურთიერთობისათვის. ამიერ-კავ-  
კასიის მისიის წარმომადგენლები გაემგზავ-  
ნებიან აზერბეიჯანში და სომხეთში.

ჯერ ჯერობით მისიის თან ახლავს მხო-  
ლოდ პირადი შემადგენლობის მცირე  
გვარი, ხოლო თუ შემდეგში საქართვებამ  
მოთხოვა და ადგილობრივი სახელმწი-  
ფებისა და იტალიელთა შეთანხმებული

ეკონომიური მუშაობისათვის საჭირო გა-  
ხდა, ჩამოვა იტალიის ჯარიც.

### რისთვის მიდიან ინგლისელები?

რა არის ბრიტანეთის ჯარების აქედან  
წასვლის მიზეზი, ამ თამად ძნელი სათქმე-  
ლია. მეტად სუსტი ინფორმაცია მოკავ-  
შირეთა მდგომარეობის შესახებ, მეტად  
აძნელებს ამ საკითხის გამოკვლევას, მაგ-  
რამ მცირეოდენი ცნობები, რომელიც  
თბილისშიც და სტამბოლშიც მიღებულ-  
ნი არიან შესაძლებლად ხდის ვიფიქროთ  
რომ, ერთის მხრით ადგილობრივი ჯა-  
რების სურვილი, რომელნიც ომში დაღ-  
ლილი და დაქანცული არიან და არავი-  
თარი ინტერესი არ აქვთ უფრო იბრძო-  
ლონ მათვის გაუგებარ მისწრაფებისათ-  
ვის და მეორეს მხრით საკმაოდ ძლიერი  
მუშაობა მოძრაობა ინგლისში, სადაც მუ-  
შათა პარტიამ უკანასკნელ ხანებში მრავ-  
ალი გამარჯვება მოიპოვა და სასტიკად  
იბრძვის ინგლისის იმპერიალისტურ, პო-  
ლიტიკის წინააღმდეგ, ოქონიეს გავლენა  
ინგლისის ჯარების აქედან წასვლისათვის.

შესაძლებელია ნაწილი ინგლისის ჯა-  
რებისა დარჩეს ბაქოში, სადაც ინგლისს  
აქვს ახლო ინტერესები, ნავთის წარმოე-  
ბასთან დაკავშირებული. ფიქრობენ აგ-  
რეთვე, რომ საზავო კონფერენციის მიერ  
საიმაო კომპენსაციით მიენიჭა გავლენა  
შავ ზღვაზე და ამიერ-კავკასიის ნაწილ-  
ზედ.

### იტალიის მისია და საქართველოს წარ- მომადგენლობა სტამბოლში.

იტალიის მისიამ, რომიდან ამიერ-კავ-  
კასიაში გამოგზავნილებისას, გზით გამოი-  
რა სტამბოლში და საქართველოში წა-  
მოსვლის ამბავი, თავის სტამბოლის საელ-  
ჩოს საშუალებით დეპუტით აცნობა სა-  
ქართველოს წარმომადგენლობას.

სტამბოლში მისვლისას, მისიის მე-  
თაურმა და ბნმა ვალერიმ ინახულეს სა-  
ქართველოს წარმომადგენლები და სთხო-  
ვეს დახმარება აღმოეჩინათ საქართველოს  
შესახებ ინფორმაციის მიწოდებით; სა-  
ქართველოს წარმომადგენლობა სრული  
ყურადღებითა შეხვდა მისიის სურვილს და  
სტამბოლიდან თბილისში მისიას მოჰყვა  
ბენი ანდრია დეკანოზიშვილი.

### გენერალ მილნის პროკლა- მაცია.

გაზეთ „აზერბეიჯანის“ მისიის მ-ის  
№-ში მოთავსებულია გენ. მილნის შემ-  
დეგი განცხადება კავკასიის მცხოვრებთა  
მიმართ.

- თქვენ სხეულს ყიდით?
- ღიას!
- მე მინდა იგი ვიყიდო?
- მე რა გივლის? ფული არ გაქვს?
- თუ გეშინია?..
- არც მეშინია და ფულიც მაქვს. იი  
მიიღე ფული.
- ის მივიდა კართან, დაჯეტა იგი და  
შემდეგ...
- მხოლოდ დილით გამოვედი სასტუმ-  
როდან. საშინელი ზიზღი გამომეცვა მე  
იმ სიმყარადიდან. ოდნავ მახსოვს რამო-  
დენიმე წუთი მშვენიერი განცდისა, მა-  
გრამ ისიც ზიზღმა დაჩრდილა.
- ქალი მხოლოდ წუთით ყოფილა სასუ-  
რველი, ვიფიქრე მე.
- მარი, შენ გინდა მოკლეთ ჩემი პასუ-  
ხი.
- ის შემდეგია: „შენ, როგორც ის რო-  
სკიპი, მხოლოდ წუთით ხარ მშვენიერი.  
ადამიანი განიცდის იმ ერთ წუთს და  
შემდეგ წარმოიშვება საშინელი, სასტიკი  
მძულვარება და ზიზღი. მე კი მიყვარდი  
შენ და რადგანაც არ მსურს ჩემი პირვე-  
ლი სიყვარული მძულვარებამ შესცვალოს,  
მე არ მინდა ის „წუთიც“ შენთან. მშვი-  
დობით... ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია  
განიცადოს სიყვარულის მარადისობა.  
მარი, შენ მიხედები, რომ დამნაშავე არ  
ვარ“.

მ. ლვამიჩავა.

ქ. სენაი. მისიის 11, 1919 წ.

„რადგანაც:  
ინგლისის ჯარმა კავკასიის ოკუპაცია  
მოახდინა:

1) მოკავშირეთა და ოსმალეთის შო-  
რის დადებულ საზავო პირობების განხი-  
რციულების უზრუნველსაყოფად.

და 2) საზავო კონფერენციის დადგენილ-  
ბამდე ტერიტორიულ საკითხების წესიე-  
რად და კანონიერად მოსაგვარებლად.

ამისათვის:

მე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერი  
ინგლისის ჯარების უფროსი, ვაცხა-  
დებ:

მცხოვრებთა მოვალეობაა სრულიად  
მშვიდობიანად მოიქცენ და რამდენადაც  
შესაძლებელია თავიანთ კერძო საქმეებს  
მოჰკიდონ ხელი რამდენადაც ისინი შე-  
სიერად მოიქცევიან და ინგლისისა და  
მოკავშირეთა წინააღმდეგ მიმართულ ყო-  
ველგვარ საქმეში თავს შეიკავებს და არ  
გაერგვიან, იმდენად ინგლისელთა სარ-  
დლობაც მას არავითარ პასუხის-გებაში  
არ მისცემს და იმდენად ისინი საფრთხეს  
არსიდან არ უნდა ელოდნენ. მათი სა-  
კუთრება და თავისუფლება სრულიად  
ხელუხლებელი დარჩება; მაგრამ თუ  
თავის მოვალეობას გადაუხვია მაშინ სამ-  
ხედრო დროს აუცილებლობა გვაიძუ-  
ლებს მივმართოთ ძალიან მძიმე სასჯელს,  
ამისათვის ვაცხადებ:

ვინც მოკავშირეთა წინააღმდეგ რაიმეს  
მოიმოქმედებს ან დააპირებს ან მტერს  
რაიმე საშუალებით დაეხმარება (ან რკი-  
ნის გზის გაფუჭებით, ან ხიდების აფეთ-  
ქებით, სახმედრო საწყობების დანგრევით  
და ან სხვა გვარად) მიეცემა სახმედრო  
სასამართლოს ან სიკვდილით და ან შე-  
საფერ სასჯელით, დასჯება.

კავკასიაში მოქმედ. ინგლისის ჯარების  
მთავარ-სარდალი გენ. გ. მილნი.

## ახალი ამბავი

გენერალ ტომსონის გამგზავრება.

სამშაბათს, 13 მაისს, საღამოს 5 საათზე  
გენერალი ტომსონი თავისი შტაბით ბა-  
თუმს გაემგზავრა. ბათომიდან გენერალი  
ტომსონი სახმედრო კრესერით ლონ-  
დონს გაემგზავრება.

ეკლესიის სახელმწიფოდან გამო-  
ყოფა. შინაგან საქმეთა სამინისტროში  
კანონ-პროექტი მუშავდება, რომლის ძა-  
ლით ეკლესია სახელმწიფოდან უნდა იქ-  
ნეს გამოყოფილი.

ჩვენს რედაქციას მოუვიდა ცნობა,  
რომ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მ.  
დვამიჩავასათვის, მსახიობ კ. მაქარაძეს  
სიტყვიერად შეურაცყოფა მიუყენებია, იმ  
რეცენზიის გამო, რომელიც დაწერილი  
იყო „აღლუმის“ შესახებ. კ. მაქარაძის  
საქციელი არ არის შესაფერისი ინტელი-  
გენტი ადამიანისათვის, რომელსაც სხვა  
საშუალება ჰქონდა რეცენზენტთან წი-  
ნააღმდეგის დასამტკიცებლად. რედაქცია  
მწუხარებას გამოსთქვამს ამ შემთხვევის  
გამო.

საუღელტეხილო გზა. საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის, გზათა მიმოსვლის  
სამინისტრო სანქაროდ იხილავს საუღელ-  
ტეხილო ტფილის-კავკასის რკინის გზის  
პროექტს კონცესიის გასაცემად. საუღელ-  
ტეხილო რკინის გზის აშენებისათვის გაშე-  
ობა საქართველოს მთავრობისაგან კონ-  
ცესიის მიღების შემდეგ თერგის ოლქის  
მთავრობის წინაშე შუამდგომლობას აღ-  
ძრავს, რათა დაამტკიცოს კონცესია რკი-  
ნის გზის დანარჩენ ნაწილებზე, რომელიც  
თერგის ოლქის ტერიტორიაზეა, სადგურ  
ლარსიდან სად. ბესლანამდე.

უცბადი მკვლელობა. 23 აპრილს  
სოფ. გომის მცხოვრებს მიხეილ ჩხეიძეს  
უცბადეთ გაუფარდა რევოლვერი, რომ-  
ელიც მოხვდა სამი წლის ქალს ანეტა  
ჩხაიძის ასულს, რომელიც მაშინვე გარ-  
დაიცვალა.

ხონი. 26 აპრილს ეკატერინა მა-  
ქარაძისა და მით დაეცენ ბოროტ გამზ-  
რებულნი და წაიღეს 1200 მან. და სა-  
ოჯახო ნივთები.

### კრება ქუთაისის საურთიერო ნო-

ბის ცეცხლისაგან დაშლევნი საზოგადო-  
ების გამგეობა თანახმად წესდებოდა  
მუხლისა, აცნობებს ბბ. შეიქმნება  
წევრთა წლიური საზოგადო კრება დამა-  
მნულია კვირას 4 მაისს (ახალი სტილით)  
1919 წ. დღის 10 საათზე გამგეობის  
სადგომში ქილიძის სახლში, თფილისის  
ქუჩაზე.

კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამო-  
ცხადდეს არა ნაკლებ 1/10 ყველა წევ-  
რებისა. უყეთუ ამ რიგათ წევრთა საკ-  
მაო რიცხვის გამოუტყაბდებლობის გამო  
ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, გამ-  
გეობა, თანახმად წესდების 16 მუხლისა,  
მოიწვევს მეორე კრებას, რომელიც კა-  
ნონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად გამო-  
ცხადებულ წევრების რაოდენობისა. გა-  
სარჩევია შემდეგი კითხვები: 1. 1918  
წლ. წლიური ანგარიშის განხილვა და  
დამტკიცება. 2. 1919 წლის ხარჯთ-ალ-  
რიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3.  
დასახლვევი გარდასახადის მომეტება 4.  
გამგეობის თავმჯდომარის და მისი კან-  
დიდატის არჩევა.

ნ. ზედანხედველი კომიტეტის ერთი წე-  
ვრის და მისი კანდიდატის არჩევა. 6.  
სარევიზო კომისიის სამის წევრისა და  
მათი კანდიდატების არჩევა.

უკანასკნელი წარმოდგენა ქალა-  
ქის თეატრში. ხუთშაბათს 15 მაისს ქა-  
ლაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება  
სუმბათაშვილის ცნობილი ისტორიული  
პიესა „ალატი“. რომლითაც დამთავ-  
რდება დასის მუშაობა.

გომელაურის საღამო. შაბათს,  
17 მაისს ქალაქის თეატრში გომელაუ-  
რი განართავს საღამოს.

სასჯელის გადიდება. შინაგან საქ-  
მეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინს-  
პექტორის თანაშემწემ ს. გეგელაშვილმა,  
ქუთაისის მილიციის უფროსის განცხადე-  
ბისამებრ, გერმოგენ თეოფილეს ძე გი-  
ორგობიანს, რომელიც იმყოფება საგუ-  
ბერნიო ციხეში, გაგრძელდა სასჯელის  
გადა სამი თვით.

### ადმინისტრაცია და სასამა- რისო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხო-  
ვრებაში გამეფებულია ქაოსი.

ეს უტყუარი ფაქტია.  
სახელმწიფოებრივი აპარატი ჯერ კი-  
დევ ვერ ქმნის აუცილებელ სიმშვიდეს,  
პოლიტიკურ ცხოვრებაში საჭირო სახეს.  
და ვერც ვხედავთ ნიშნებს იმისას, რომ  
ახლო მომავალში შექმნილი იქნება საქი-  
რო პოლიტიკური წყობილება.

ადმინისტრაციის მიერ ყოველი მოქა-  
ლაქისათვის დასაცავ კანონების დარღვე-  
ვას ხშირად შეხვდებით საქართველოს რე-  
სპუბლიკაში. განსაკუთრებით უნაქვემო  
მდგომარეობაშია პროვინცია, სადაც ად-  
მინისტრაციის თვითნებობას საზღვარი არა  
აქვს.

კომისრობის სურვილი-ეს უმთავრესია,  
რაც საშინელი სისწრაფით შექმნა რევო-  
ლიუციამ.

ახლა დაიბადა ახალი პოსტი-მილიციის  
რომელიც ძლიერ მოსაგებ ადგილად უნ-  
და ჩაითვალოს.

და ყოველ-დღე იქნება ასეთი პოსტი,  
ახალი მოვალეობა., ისე მოვალეობის  
მიერ იწერება სულ ახალი კანონები,  
რომლებიც არსებითაც წინააღმდეგებიან  
სასამართლოს ძირითად კანონების, რომ-  
ლებიც სავალდებულოდ არიან მიტოვე-  
ბულნი ჩვენი მთავრობის მიერ.

მილიციის უფროსის, ქალაქის კომი-  
რის ბრძანება ილიერ ხშირად არღვევს  
სასამართლოს უფლებებს.

რით იისნება ეს მდგომარეობა. უეჭვე-  
ლია, აქ პირველი და მთავარი მიზეზად  
უნდა ჩაითვალოს აღნიშნულ მოვალეო-  
ბათა აღმასრულებელი ძალების სრულ  
უცოდინარობა კანონების და იმ უფლე-  
ბის, რომელსაც ისინი არ უნდა სცილ-  
დებოდნენ.

მრავალი უსიამოვნება იქნება ამ ნია-  
დაგზე პროვინციაში და ვინ იცის რო-  
დის მოულება ბოლო კომისრების თვით-  
ნებობას? მანი.



